ადამიანის უფლებათა ცენტრი

www.humanrights.ge

2009

ფეთქებადი მილიარდი

ანგარიში

Human Rights Centre

არასამთავრობო ორგანიზაცია *ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRIDC)* დამოუკიდებელი უფლებადამცველი ორგანიზაციაა. მისი მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვას და ძირითადი თავისუფლებების განვითარებას, ასევე წვლილი შეიტანოს ქვეყნის დემოკრატიული განვითარების საქმეში.

ადამიანის უფლებათა ცენტრი ახორციელებს პროექტებს, რომლებიც უზრუნველყოფს ადამიანის უფლებების კანონთან და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას. ჩვენ ვთანამშრომლობთ ისეთ საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან, რომლებიც პატივს სცემენ ადამიანის უფლებებს და მათი მიზანია ქვეყანაში დემოკრატიისა და მშვიდობის დამყარება.

საკონტაქტო ინფორმაცია:

ადამიანის უფლებათა ცენტრი
ალ. ყაზბეგის გამზ. 3ა, სადარბაზო II, სართული IV. ბინა 22
თბილისი, 0160 საქართველო
ტელ: (+995 32) 37 69 50, (+995 32) 45 45 33;
ფაქსი: (+995 32) 38 46 50
ელექტრონული ფოსტა: hridc@hridc.org
საიტის მისამართი: www.hridc.org
ინტერნეტ გაზეთი: www.humanrights.ge

მომზადებულია: დავით მანაგაძის მიერ

ადამიანის უფლებათა ცენტრი განსაკუთრებულ მადლობას გამოხატავს ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტის მიმართ და „ეროვნული წვლილი დემოკრატიისათვის (აშშ)“-ს მიმართ ადამიანის უფლებათა მონიტორინგის პროგრამაში გაწეული დახმარებისათვის.

ზოგადი ინფორმაცია.

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად:

- *"საქართველოს სუვერენული უფლებაა აწარმოოს თავდაცვითი ომი";*
- *"ქვეყნის დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად, აგრეთვე საერთაშორისო ვალდებულებათა შესასრულებლად საქართველოს ჰყავს სამხედრო ძალები";*
- *"სამხედრო ძალების სახეობები და შემადგენლობა განისაზღვრება კანონით. სამხედრო ძალების სტრუქტურას ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი, რაოდენობას კი ეროვნული უშიშროების საბჭოს წარდგინებით - პარლამენტი სიითი შემადგენლობის უმრავლესობით."*[1],
- *„საქართველოს დაცვა საქართველოს ყოველი მოქალაქის მოვალეობაა. ქვეყნის დაცვა და სამხედრო ვალდებულების მოხდა საამისო უნარის მქონე ყველა მოქალაქის ვალია. სამხედრო ვალდებულების მოხდის ფორმას ადგენს კანონი."* [2]

საქართველოს სამხედრო ძალების რაოდენობა 1998-2009 წლებში [3]



- სახმელეთო ძალების პირადი შემადგენლობის რიცხოვნობაა - 21 739;
  - აქედან: 2 215 - ოფიცერი,
    - 19 508 - სერჟანტი/კაპრალი (საკონტრაქტო)
    - 16 - სამოქალაქო პირი. [4]

- საზღვაო ძალების პირადი შემადგენლობის რიცხოვნობაა - 892;
  - აქედან: 178 - ოფიცერი,
    - 405 - მიჩმანი (საკონტაქტო),
    - 119- ვადიანი სამეხდრო მოსამსახურე
    - 42 - სამოქალაქო პირი. [5]

- საქართველოს სამხედრო-საჰაერო ძალების პირადი შემადგენლობის რიცხოვნობაა - 1 813;
  - აქედან: 1 386 - ოფიცერი, სერჟანტი კაპრალი, რეკრუტი,
    - 315 - ვადიანი მოსამსახურე
    - 112 - სამოქალაქო პირი. [6]

- ეროვნული გვარდიის პირადი შემადგენლობის რიცხოვნობაა - 554 [7] მოსამსახურე

---

[1] საქარვთელოს კონსტიტუცია. მუხლი # 98 http://www.constcourt.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=19; თავი მეშვიდე სახელმწიფოს თავდაცვა

[2] საქარვთელოს კონსტიტუცია. მუხლი # 101 http://www.constcourt.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=19; თავი მეშვიდე სახელმწიფოს თავდაცვა

[3] საქარველოს კანონმდებლობა საქართველოს სამხედრო ძალების რაოდენობის დამტკიცების შესახებ. ***კანონი*** - # 955-რს, ***კანონი*** - # 5635-IIს, ***კანონი*** - # 3940-რს, ***კანონი*** - # 980-რს, ***კანონი*** - # 2209-IIს, ***კანონი*** - # 415-IIს, www.humanrights.ge

[4] http://www.mod.gov.ge/?l=G&m=5&sm=5

[5] http://www.mod.gov.ge/?l=G&m=5&sm=6

[6] http://www.mod.gov.ge/?l=G&m=5&sm=7

[7] http://www.mod.gov.ge/?l=G&m=5&sm=8

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტი 1998-2009 წლებში



როგორც წარმოდგენილი გრაფიკიდან ჩანს, საქართველოს სამხედრო ბიუჯეტი ბოლო 8 წლის განმავლობაში გაიზარდა 2.600.000 ლარიდან - 1.545.225.000 ლარამდე.

[8] კანონი # 687-რს, **კანონი # 5659-რს, კანონი # 4227-რს, კანონი # 2428-რს, კანონი # 828-რს, კანონი # 47-რს, კანონი # 1968-რს, კანონი - # 1258-რს** - კანონი საქართველოს წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ



1	37,633.00	საქართველოს პარლამენტი
2	47,483.70	საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია
3	2,369.70	საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო
4	20,700.00	საქართველოს პროკურატურა
5	5,413.70	საქართველოს უზენაესი სასამართლო
6	35,046.70	საერთო სასამართლოები
7	1,899,541.50	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
8	848.40	დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი
9	467,703.60	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
10	1,500.40	რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი
11	391,112.20	საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო
12	57,989.70	საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო
13	1,545,225.00	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო
14	1,922.30	საქართველოს სახალხო დამცველი
15	740,000.00	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
16	1,317,904.10	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
17	60.20	სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი
18	96,914.60	საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო
19	19,000.00	სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია
20	24,902.40	სსიპ - საზოგადოებრივი მაუწყებელი
21	21,451.10	საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია
22	86,208.70	საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო
23	38,578.50	საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო
*თანხები - ათასი ლარი		

საქართველოს 2008 წლის ბიუჯეტის მონაცემები



1	5,445,709.00	საქართველოს მთლიანი ბიუჯეტი
2	848.40	დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი
3	467,703.60	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
4	1,500.40	რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი
5	1,545,225.00	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო
6	60.20	სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი
7	740,000.00	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
8	1,922.30	საქართველოს სახალხო დამცველი
9	1,317,904.10	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
10	96,914.60	საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო
*თანხები - ათასი ლარი		



1	5,510,161.00	მთლიანი ბიუჯეტი
2	942,000.00	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო
3	2,080.00	საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი
4	568,000.00	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
5	88,043.60	საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო
6	537,967.70	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
7	10,000.00	სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია
8	46,350.00	საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო
9	1,493,597.90	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
10	45,178.80	საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო
11	44,000.00	საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური
*თანხები - ათასი ლარი		

წარმოდგენილი ცხრილებიდან ჩანს საქართველოს მთლიანის ბიუჯეტის დაფინანსება სფეროების მიხედვით.

საქართველოს ბიუჯეტის სამი, ყველაზე დიდი ხარჯვითი პუნქტია: დაფინანსება გამოყოფილი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსათვის; საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის და საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის.

	საქართველოს ბიუჯეტი	2007 წელი	2008 წელი	2009 წელი
	შემოსავლები. * ათასი ლარი	4,469,122.90	5,463,641.20	5,510,161.00
1	საქართველოს პარლამენტი და მასთან არსებული ორგანიზაციები	31,775.10	35,598.90	42,963.70
2	საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია	22,249.00	21,451.10	16,000.00
3	საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო	2,594.90	2,373.50	2,600.00
4	საქართველოს უზენაესი სასამართლო	3,929.20	4,903.70	5,385.00
5	საერთო სასამართლოები	30,242.10	35,046.70	38,428.10
6	ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	1,047.10	1,448.20	1,185.20
7	დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	0.00	848.40	950.00
8	რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	0.00	1,550.40	1,330.00
9	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	619,736.00	1,544,448.30	1,879,407.10
10	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	67,787.10	52,375.00	55,450.00
11	საქართველოს პროკურატურა	18,839.30	20,700.00	18,869.00
12	საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს აპარატი	0.00	0.00	2,993.00
13	სასჯელაღსრულების დეპარტამენტი	82,388.80	96,142.80	111,100.10
14	არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სამსახური	996.30	1,363.00	1,563.60
15	სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური	1,497.10	2,959.20	2,901.00
16	საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო	58,104.90	58,293.70	71,320.00
17	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო	1,494,535.30	1,547,511.20	942,000.00
18	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	470,414.60	741,780.20	568,000.00
19	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	410,828.80	465,172.60	537,967.70
20	ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები	201,396.20	271,500.00	311,975.80
21	პრეზიდენტის ნაციონალური პროგრამა "საგანმანათლებლო დაწესებულებების რეაბილიტაცია"	100,402.40	47,257.40	46,539.50
22	პრეზიდენტის ნაციონალური პროგრამა "იაკობ გოგებაშვილი - საჯარო სკოლების რეაბილიტაცია"	78,831.00	25,080.40	35,500.00
23	საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო	78,844.60	77,396.30	86,350.00

24	საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო	65,537.60	108,552.30	46,350.00
25	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	963,245.40	1,300,613.50	1,493,597.90
26	საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო	223,523.90	130,451.30	57,633.00
27	საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო	111,099.90	80,310.10	88,043.60
28	საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო	37,546.50	32,296.10	45,178.80
29	საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური	31,271.90	41,446.20	44,000.00
30	საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი	1,545.70	1,745.90	2,080.00
31	სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია	14,612.20	19,000.00	10,000.00
32	საქართველოს საპატრიარქო	4,222.60	9,521.10	25,000.00



	საქართველოს ბიუჯეტი. * ათასი ლარი	2007 წლის ბიუჯეტი	2008 წლის ბიუჯეტი	2009 წლის ბიუჯეტი
1	**შემოსავლები**	**4,469,122.90**	**5,463,641.20**	**5,510,161.00**
2	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო	1,494,535.30	1,547,511.20	942,000.00
3	საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო	65,537.60	108,552.30	46,350.00
4	საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი	1,545.70	1,745.90	2,080.00







2009 წელს საქართვლოს მთლიანი ბიუჯეტის ზრდასთან ერთად შემცირებულია საქართველოს შეიარაღებაზე გამოყოფილი თანხა, რაც შეიძლება დადებითი ტენდენციის დასაწყისად შეფასდეს.

საქართველოს სამხედრო ბიუჯეტის პროცენტული წილი საერთო ბიუჯეტიდან 25%-დან 14%-მდე შემცირდა. თუმცა თუ გადავხედავთ ევროპის ქვეყნების, მათ შორის NATO-ს წევრების, სახელმწიფო ბიუჯეტებს საინტერესო შეფარდებას აღმოვაჩენთ.

მაგალითად, ლატვიის 2007 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი შეადგენდა 254.04 მილიონ ლატს [9], 2008 წლის - 289.52 მილიონ ლატს, რაც წარმოადგენს მთლიანი ბიუჯეტის მხოლოდ 2%. [10]

თავდაცვის 2%-იანი დაფინანსების პრინციპი გამოიყენება ისეთ ქვეყნებში როგორიცაა: ბულგარეთი, თურქეთი, საბერძნეთი, საფრანგეთი, ესტონეთი, ლიტვა.

[9] ლატი - ეროვნული ვალუტა. 100.00 ლატი შეადგენს 307.93 ლარს
[10] http://se1.isn.ch/serviceengine/FileContent?serviceID=47&fileid=C4455EE0-4F26-8ABA-92C7-4E177BBC7574&lng=en

სამხედრო სამსახურის სახეები

საქართველოში მოქმედებს სამხედრო სამსახურის რამდენიმე სახე:

1. სამხედრო სარეზერვო სამსახური [11]
2. სამხედრო სავალდებულო სამსახური [12]
3. საკონტრაქტო (პროფესიული) სამსახური [13]
4. არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახური [14]

სამხედრო სარეზერვო სამსახური [15]

სამხედრო ძალების რეზერვი იქმნება მობილიზაციის, საომარი ან/და საგანგებო მდგომარეობის, აგრეთვე სხვა განსაკუთრებული მდგომარეობის დროს ან ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, სამხედრო ძალების მხარდასაჭერად.

სამხედრო ძალების რეზერვის დაკომპლექტება:

- აქტიური რეზერვი კომპლექტდება პირებისაგან, რომლებიც სამხედრო სავალდებულო, საკონტრაქტო (პროფესიული), კადრის სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილი არიან რეზერვში ჩარიცხვით და რომლებიც ჯანმრთელობისა და ფიზიკური მდგომარეობით აკმაყოფილებენ ამ კატეგორიისათვის დადგენილ მოთხოვნებს;

- ეროვნული გვარდიის რეზერვი კომპლექტდება ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების მიხედვით, იმ პირებისაგან, რომლებიც თავიანთი სპეციფიკური ცოდნით ან/და გამოცდილებით აკმაყოფილებენ ამ კატეგორიისათვის დადგენილ მოთხოვნებს;

- ინდივიდუალური რეზერვი კომპლექტდება პირებისაგან, რომლებიც არ ირიცხებიან აქტიურ და ეროვნული გვარდიის რეზერვებში;

- აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტების მიერ სამხედრო სარეზერვო სამსახურის გავლა ერთჯერადად სავალდებულოა. თუ აღნიშნული პირები საკუთარი სურვილით გაივლიან სარეზერვო სამსახურს დამატებით ორი ვადით, მათ სამხედრო ვალდებულება მოხდილად ჩაეთვლებათ და 27 წლის ასაკის მიღწევამდე ჩაირიცხებიან ინდივიდუალურ რეზერვში;

- თუ სტუდენტის სარეზერვო სამსახურის დამატებით ორი ვადით გავლა ემთხვევა უმაღლესი სასწავლებლის დამთავრებას, იგი საკუთარი სურვილით შეიძლება გაიწვიონ სამხედრო სარეზერვო სამსახურში;

- სარეზერვო სამსახურის გავლის შემთხვევაში პირს სამხედრო ვალდებულება მოხდილად ჩაეთვლება და 27 წლის ასაკის მიღწევამდე ჩაირიცხება ინდივიდუალურ რეზერვში;

- სამხედრო სარეზერვო სამსახურის გავლის ვადა - რეზერვში ჩარიცხული პირი სამხედრო სარეზერვო სამსახურს გაივლის წელიწადში ერთხელ, 18 დღის ვადით;

- სარეზერვო სამსახურის მოსამსახურეთა აღრიცხვას აწარმოებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს შესაბამისი სამსახური - ინფორმაცია მიეწოდება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ეროვნული გვარდიის დეპარტამენტს.

სამხედრო სარეზერვო სამსახურისგან თავისუფლდებიან:

ა) ქალები;
ბ) სარკინიგზო ტრანსპორტის ტექნიკური შემადგენლობა, მუშები და მოსამსახურეები, რომლებიც ემსახურებიან გადაყვანა-გადაზიდვას ან დასაქმებული არიან მოძრავი შემადგენლობისა და სარკინიგზო ტრანსპორტის მოწყობილობების მომსახურებითა და რემონტით;
გ) საზღვაო ფლოტის შემადგენლობა;

[11] კანონი - # 4196-რს სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ www.humanrights.ge
[12] კანონი # 860-Iს - საქართველოს კანონი სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ
[13] კანონი # 860-Iს - საქართველოს კანონი სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ
[14] კანონი # 1012-Iს - საქართველოს კანონი არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის შესახებ
[15] კანონი - # 4196-რს სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ

დ) პედაგოგები და ექიმები, რომლებიც მუშაობენ სოფლად;
ე) საქართველოს შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების სისტემაში მომუშავე პირები;
ვ) თბილისის მეტროპოლიტენის თანამშრომლები;
ზ) მოსამართლეები;
თ) პირები, რომლებმაც მოიხადეს არასამხედრო ალტერნატიული შრომითი სამსახური;
ი) საზღვარგარეთ სასწავლებლად ან სამუშაოდ მყოფი პირები;
კ) დიპლომატიური თანამდებობის პირები;
ლ) სასულიერო პირები;
მ) ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო სამხედრო სამსახურისათვის უვარგისად ცნობილი პირი;
ნ) საქართველოს პარლამენტის წევრები.
2. პირი, რომელიც სისხლის სამართლის მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის არის ნასამართლევი, სამხედრო სარეზერვო სამსახურში არ მიიღება.

- "ა", "თ", "ი", "კ" და "ნ" ქვეპუნქტებით განსაზღვრულ პირებს უფლება აქვთ ნებაყოფლობით გაიარონ სამხედრო სარეზერვო სამსახური.

სამხედრო სავალდებულო სამსახური და საკონტრაქტო (პროფესიული) სამსახური [16]

საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, საქართველოს დაცვა და სამხედრო ვალდებულების მოხდა საამისო უნარის მქონე ყველა მოქალაქის მოვალეობაა.

სამხედრო ვალდებულების მოხდას დაქვემდებარებული მოქალაქის ასაკია 18-დან 27 წლამდე ასაკის საქართველოს მოქალაქე, რომელიც იმყოფება ან ვალდებულია, იმყოფებოდეს სამხედრო აღრიცხვაზე და არ აქვს სამხედრო სამსახურში გაწვევისაგან გათავისუფლების ან გაწვევის გადავადების უფლება - ექვემდებარება სამხედრო ვალდებულების მოხდას.

სამხედრო სავალდებულო სამსახურის ვადებია:

ა) გაწვევით ვადიანი სამხედრო სამსახურის გამვლელთათვის - 12 თვე;
ა') გაწვევით ვადიანი საკონტრაქტო (პროფესიული) სამხედრო სამსახურის გამვლელთათვის - არანაკლებ 3 წლისა;

სამხედრო ვალდებულება შეიძლება მოხდილ იქნეს საკონტრაქტო (პროფესიული) სამხედრო სამსახურის სახითაც.

საკონტრაქტო (პროფესიული) სამხედრო სამსახურის ვადა განისაზღვრება საქარველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ და პრაქტიკაზე შეადგენს 4 წელიწადს. საკონტრაქტო სამხედრო სამსახურში მიიღებიან საქარველოს მოქალქეები 18 დან 35 წლის ასაკამდე.

სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადება

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, შესაძლებელია სამხედრო სამსახურის გადავადება.[17] ამისათვის საჭიროა მოსაკრებლის გადახდა, რომელიც არის სავალდებულო გადასახდელი საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში, და გადაიხდება სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების უფლებით სარგებლობისათვის.

წვევამდელის მიერ სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებლის გადახდის შემთხვევაში, ადგილობრივი მმართველობის ორგანოს სამხედრო განყოფილებას მის პირად საქმეში შეაქვს შესაბამისი ჩანაწერი და მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევას დაქვემდებარებული პირისათვის 18 თვით გადავადებისათვის შეადგენს 2000 (ორი ათას) ლარს.

სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებლის 90% ირიცხება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში, ხოლო 10% -შესაბამის ადგილობრივ ბიუჯეტში.

[16] კანონი - # 860-Iს საქართველოს კანონი სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ
[17] კანონი # 1531-IIს - სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებლის შესახებ

მოსაკრებლის გადახდის გარეშე, წვევამდელს სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევა გადაუვადდება, თუ:

ა) ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო სამხედრო სამსახურის გავლისათვის დროებით უვარგისად არის ცნობილი - ვადით ერთ წლამდე;
ბ) მის მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე - შესაბამისი ორგანოების მიერ სათანადო გადაწყვეტილების მიღებამდე;
გ') არის საქართველოში აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ან უცხო ქვეყნის კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებული უცხო ქვეყნის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტი - სწავლის დამთავრებამდე, უმაღლესი განათლების თითოეულ საფეხურზე;
ე) არის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლე - 20 წლის ასაკამდე;
ვ) პატრონობს შრომისუუნარო, მის კმაყოფაზე მყოფ ბებიას ან პაპას, თუ მას არა ჰყავს სხვა კანონიერი მომვლელი, რომელსაც შეუძლია მისი მოვლა-პატრონობა;
ზ) ჰყავს ორი ან ორზე მეტი შვილი;
თ) მის კმაყოფაზეა ოჯახის შრომისუუნარო წევრი, რომელიც საჭიროებს მუდმივ მზრუნველობას და არა ჰყავს სხვა კანონიერი მომვლელი, რომელსაც შეუძლია მისი მოვლა-პატრონობა;
ი) მის კმაყოფაზეა ოჯახის შრომისუუნარო წევრი, რომელიც საჭიროებს მუდმივ მზრუნველობას, ჰყავს ცალკე ოჯახად მცხოვრები და, რომელსაც არ შეუძლია ოჯახის შრომისუუნარო წევრის მოვლა-პატრონობა;
კ) მის კმაყოფაზეა არასრულწლოვანი ან/და ობოლი და-ძმა;
ლ) არის მღვდელთმსახური ან სწავლობს სასულიერო სასწავლებელში;
მ) არის დედისერთა;
ნ) მუშაობს სოფელში მასწავლებლად ან ექიმად;
ო) გაწვევის გადავადების უფლება მინიჭებული აქვს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით;
პ) ჰყავს ერთი შვილი - შვილის შეძენის დღიდან სამი წლის ვადით.

თუ წვევამდელი გაწვევის დღისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებულია, როგორც საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატი, მას სამხედრო სამსახურში გაწვევა გადაუვადდება არჩევნების შედეგების დამტკიცებამდე. საქართველოს პარლამენტის წევრად არჩევის შემთხვევაში, იგი თავისუფლდება სამხედრო ვალდებულების მოხდისაგან. [18]

არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახური

საქართველოში ჯერ კიდევ 1991 წელს უზენაესმა საბჭომ მიიღო კანონი „არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის შესახებ“ [19].

1997 წლის 28 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ახალი კანონი არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის შესახებ.[20] ახალმა კანონმა გააუქმა ძველის მოქმედება და ახლებულად განსაზღვრა არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის დანიშნულება - კანონი შევიდა ძალაში 1998 წლის 1 იანვარს.

კანონის მიხედვით:

ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო დეკლარაციის საფუძველზე, კანონი განსაზღვრავს არასამხედრო, ალტერნატიულ შრომით სამსახურს, როგორც **აზრის თავისუფლად გამოხატვის, სინდისის, აღმსარებლობის, რწმენის თავისუფლებასა და სამხედრო ვალდებულებას შორის გონივრულ და ჰუმანურ კომპრომისს.**

არასამხედრო, ალტერნატიულ შრომით სამსახურში მშვიდობიან პერიოდში გაიწვევენ მოქალაქეს, რომელმაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უნდა მოიხადოს სამხედრო ვალდებულება, მაგრამ სინდისის, აღმსარებლობის ან რწმენის თავისუფლების მოტივით უარს აცხადებს სამხედრო სამსახურზე.

არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახური არის საზოგადოებრივად სასარგებლო სამოქალაქო სამსახური, რომელიც ცვლის სამხედრო სამსახურს და ემყარება სამხედრო ვალდებულების სამხედრო სამსახურის ფორმით მოხდაზე უარის თქმის დასაბუთებას სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლების საფუძველზე.

არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახური თავისი ხასიათით უნდა შეესაბამებოდეს სამხედრო სამსახურში არსებულ სირთულეებს. მისი ხანგრძლივობა უნდა აღემატებოდეს კანონმდებლობით დადგენილ გაწვევით სამხედრო სამსახურის ხანგრძლივობას და ითვლება საერთო და სპეციალურ შრომით სტაჟში.

[18] კანონი # 860-Iს - საქართველოს კანონი სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ, მუხლი # 30
[19] კანონი # 436 - საქართველოს რესპუბლიკის კანონი არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის შესახებ. მიღებულია - 14.06.1991 წ
[20] კანონი # 1012-Iს - საქართველოს კანონი არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის შესახებ

არასამხედრო, ალტერნატიულ შრომით სამსახურში გაწვევას აწარმოებს მოქალაქეთა არასამხედრო, ალტერნატიულ შრომით სამსახურში გაწვევის სახელმწიფო კომისია. მოქალაქეთა არასამხედრო, ალტერნატიულ შრომით სამსახურში გაწვევის სახელმწიფო კომისიის მიერ მოხუცების, ინვალიდების[21], უპატრონოდ დარჩენილი და კანონმდებლობის შესაბამისად სოციალურად დაუცველი სხვა პირების მოვლა-პატრონობისათვის საქართველოს მოქალაქეების გამწესება ჩაითვლება არასამხედრო, ალტერნატიულ შრომით სამსახურად.
მოქალაქეს, რომელიც გადის არასამხედრო, ალტერნატიულ შრომით სამსახურს ეძლევა შესაბამისი საბუთი, რომელშიც აღნიშნულია შრომის სახეობა და ადგილი, სადაც მან უნდა გაიაროს არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახური.

არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის სახეები და გავლის ადგილები.
არასამხედრო, ალტერნატიულ შრომით სამსახურში გაწვევის ორგანიზაციული უზრუნველყოფა არასამხედრო, ალტერნატიულ შრომით სამსახურში გაწვევის სახელმწიფო კომისიის მუშაობასა და მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა ორგანიზაციულ განხორციელებას უზრუნველყოფს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, თავის სისტემაში შემავალი ერთეულის მეშვეობით.

მოქალაქე არსამხედრო, ალტერნატიულ შრომით სამსახურს გადის შემდეგ სპეციალიზებულ არასამხედრო-შრომით ფორმირებებში, ჯგუფებში ან ინდივიდუალურად:

ა) საავარიო-სამაშველო, ეკოლოგიურ, ხანძარსაწინააღმდეგო ან სხვა სპეციალურ არასამხედრო-შრომით ფორმირებებში;
ბ) სამოქალაქო დანიშნულების სამშენებლო, სარემონტო ორგანიზაციებსა და ობიექტებზე;
გ) ორგანიზაციებსა და ობიექტებზე, რომლებიც სოფლის მეურნეობის პროდუქციას აწარმოებენ;
დ) კომუნალური მომსახურების დაწესებულებებში;
ე) ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებებში.

არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის გავლის ვადაა:

ა) უმაღლესი განათლების მქონე პირისათვის - 18 თვე;
ბ) უმაღლესი განათლების არმქონე პირისათვის - 24 თვე.

მოქალაქე, რომელმაც მოიხადა არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახური და ჩარიცხულია რეზერვში, შეიძლება გაიწვიონ სტიქიური უბედურებების და ავარიების შედეგების ლიკვიდაციის სამუშაოებზე, ასევე მობილიზაციის ან საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების დროს. გაწვევის ვადა განისაზღვრება შესაბამისი ნორმატიული აქტით.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუყებო დაწესებულება ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტიდან მიღებული ინფორმაციით კანონი „არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის შესახებ“ [22] პრაქტიკულად ამოქმედდა 2002 წელს და დღემდე გაწვეულია 1017 ახალგაზრდა.

ალტერნატიულ შრომით სამსახურში გაწვეულ პირთა რაოდენობა	
2002 წელს გაწვეულია	76 წვევამდელი
2003 წელს გაწვეულია	66 წვევამდელი
2004 წელს გაწვეულია	58 წვევამდელი
2005 წელს გაწვეულია	135 წვევამდელი
2006 წელს გაწვეულია	208 წვევამდელი
2007 წელს გაწვეულია	153 წვევამდელი
2008 წელს გაწვეულია	228 წვევამდელი
2009 წელს გაწვეულია *	93 წვევამდელი

*2009 წლის მონაცემები ეფუძნება საგაზაფხულო გაწვევის მონაცემებს, რომელიც არ არის დასრულებული.

[21] კანონი # 1012-Iს - საქართველოს კანონი არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის შესახებ, მუხლი 5, პუნქტი 2. ტერმინი **„ინვალიდი“** - გამოყენებულია ხსენებულ კანონში, რაც არასწორად მიგვაჩნია, ვინაიდან იგი ატარებდ დისკრიმინაციულ ხასიათს. უპრიანი იქნებოდა ტერმინი - **შეზღუდული შესაზლებლობების მქონე პირის** - გამოყენება.
[22] კანონი # 1012-Iს - საქართველოს კანონი არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის შესახებ

დასკვნა

ყოვლად დაუშვებელია, საქართველო ხარჯავდეს წელიწადში მილიარდზე მეტს სამხედრო ძალაბის აღმშენებლობაზე, როდესაც ქვეყანაში 41.000 მოქალაქე ცხოვრობს სიღარიბის ზღვარს მიღმა, 330.000 ადამიანი კი მიეკუთვნება სოციალურად დაუცველთა კატეგორიას. [23]

საქართველოს ბიუჯეტი	**2007 წელი**	**2008 წელი**	**2009 წელი**
შემოსავლები. * ათასი ლარი	**4,469,122.90**	**5,463,641.20**	**5,510,161.00**
საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო	37,546.50	32,296.10	45,178.80
საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო	111,099.90	80,310.10	88,043.60
საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი	1,545.70	1,745.90	2,080.00
რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	0.00	1,550.40	1,330.00
ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები	201,396.20	271,500.00	311,975.80
საქართველოს თავდაცვის სამინისტრო	1,494,535.30	1,547,511.20	942,000.00

რა თქმა უნდა, ჩვენ არ უარვყოფთ სამხედრო შეიარაღებული ძალების არსებობის აუცილებლობას თანამედროვე ეპოქაში, როდესაც ქვეყანას და მის მოქალაქეებს შეიძლება დაემუქროს ტერორიზმის, ექსტრემიზმის და ძალადობის სხვადასხვა გამოვლინებები.

თუმცა სამხედრო ხარჯების არაპროპორციულობა სხვა სამოქალაქო ხარჯებთან მიმართებაში ნათლად იკვეთება.

ასევე უნდა აღინიშნოს სამხედრო ბიუჯეტის ხარჯვის გამჭირვალობის მონიტორინგის აუცილებლობა.

რეკომენდაციები

არსებული ინფორმაციის საფუძველზე „ადამინის უფლებათა ცენტრმა“ შეიმუშავა რიგი რეკომენდაციებისა, რომელთა ეტაპობრივი შესრულება გამოიწვევს:

- საქარველოს სამხედრო ხარჯების შემცირებას;
- სამხედრო ძალების რაოდენობის ოპტიმიზაციას;
- თადარიგში გასული სამხდრო პირებისათვის სამოქალაქო პროფესიების შესწავლის სისტემის მხარდაჭერას;
- სამხედრო ძალების სრული შემადგენლობის კომპლექტაციას პროფესიულ საფუძველზე;

„ადამინის უფლებათა ცენტრი“ უწევს რეკომენდაციებს საქართველოს ხელისუფლებას, რათა მოხდეს:

1. სამი წლის განმავლობაში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებული ძალების რიცხოვნობის ეტაპობრივი შემცირება, წელიწადში 4.000 (ორი ათასი) მოსამსახურით.

[23] http://www.newsgeorgia.ge/society/20060508/537123.html

- 2010 - 33.000 (ოცდაცამეტი) ათასი მოსამსახურე
- 2011 - 29.000 (ოცდაცხრა) ათასი მოსამსახურე
- 2012 - 24.000 (ოცდაოთხი) ათასი მოსამსახურე

2. 2015 წლიდან საკანონმდებლო ნორმის ამოქმედება, რომელიც განსაზღვრავს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურეთა ზღვრულ რიცხოვნობას საქართველოს საერთო მოსახლეობის რიცხოვნობიდან არა უმეტეს 0.5 %-სა.

3. სამი წლის განმავლობაში (2010, 2011, 2012წწ.) საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტის პროცენტული მაჩვენებლის კლება საერთო ბიუჯეტიდან - წელიწადში 2 %.

- 2010 - თავდაცვის ბიუჯეტის % -ული მაჩვენებელი საერთო ბიუჯეტიდან - 12 %
- 2011 - თავდაცვის ბიუჯეტის %-ული მაჩვენებელი საერთო ბიუჯეტიდან - 10 %
- 2012 - თავდაცვის ბიუჯეტის % -ული მაჩვენებელი საერთო ბიუჯეტიდან - 8 %

4. 2012 წლიდან საკანონმდებლო ნორმის ამოქმედება, რომელიც განსაზღვრავს საქართველოს თავდაცვის სფეროს ზღვრულ დაფინანსებას საერთო ბიუჯეტიდან არა უმეტეს 5 %.

5. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტის შემცირებიდან გამოთავისუფლებული თანხების ნაწილით სამხედრო პირებისათვის სამოქალაქო პროფესიების შესწავლის ორგანიზება.

6. საქართველოში მოქმედი სამხედრო სავალდებულო სამსახურის სრული გაუქმება.

7. რეზერვის სისტემის ფორმირებისა და ფუნქციების პრინციპების ცვლილება.

- რეზერვის შემადგენლობის ფორმირება იმ პირებისგან ვისაც წარსულში აქვს გავლილი სამხადრო სავალდებულო ან სამხედრო საკონტრაქტო სამსახური,
- რეზერვისტთა მომზადების ხანგრძლივობისა და პერიოდულობის განსაზღვრა ციკლის მიხედვით.

პერიოდულობა - 5 წლიანი ციკლი;
ხანგრძლივობა - 1 თვე;

5 წლიანი ციკლის განმავლობაში მოქალაქე გაივლის სამხედრო სარეზერვო სამსახურს სამჯერ, თითო თვის განმავლობაში, ყოველ პირველ, მეოერე და მეხუთე წელიწადს.

მაგ:
2000 წელი - 1 თვე
2002 წელი - 1 თვე
2005 წელი - 1 თვე

- რეზერვისტთა ასაკის მინიმალური და მაქსიმალური ზღვრების დაწესება - 25 დან 45 წლამდე.

რეზერვის სისტემის ფუნქციების ცვლილება გულისხმობს - ორიენტაციას სამოქალაქო თავდაცვის და ჰუმანიტარული დახმარების საკითხების თეორიულ და პრაქტიკულ შესწავლაზე.

რეზერვისტთა მომზადება დაეფუძნება სპეციალიზაციას კონკრეტული მიმართულებებით - სამედიცინო, საინჟინრო, კავშირგაბმულობა და ა.შ.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ რეზერვის სისტემის გამოყენაბა შესაძლებელია მასშტაბული სტიქიური უბედურებების დროსაც.

ამგვარად, მოხდება სამოქალაქო თავდაცვის სისტემის ჩამოყალიბებისა და განვითერების ხელშეწყობა.

8. საჯარო სამსახურთან დაკავშირებული შეზღუდვების მოხსნა.

- როდესაც საჯარო სამსახურში მიღების ერთ-ერთ პირობას წარმოადგენს სამხედრო სავალდებული ან სარეზერვო სამსახურების გავლა.

9. საქართველოს სახმედრო ბიუჯეტის ხარჯვის მონიტორინგი.